ხელშეკრულება #100
მომსახურების შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

30 ოქტომბერი 2013 წელი **ქ.თბილისი**

ერთის მხრივ სს „საპარტნიორო ფონდი“ (შემდგომში ”შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ნათელა თურნავას სახით და მეორეს მხრივ სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ (შემდგომში ”მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ჯონი კვინიკაძის სახით, “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა;

1.8. „ვებ გვერდი“ - შემდგომში ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), რომლის მეშვეობითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს ელექტრონული სისტემით სარგებლობის მომსახურებას.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვა (CPV 48600000).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მაცნეს ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია 2 (ორი) მომხმარებელზე.

3.2. მომსახურების გაწევის ვადა - 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

3.3. მომსახურების გაწევის ადგილი: მაცნეს ვებ-გვერდი - www.matsne.gov.ge.

4. სახელშეკრულებო ღირებულება

4.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 120 (ასოცი) ლარი.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება დასტურდება მომხმარებლის სახელისა (user name) და პაროლის გადაცემით, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. ყოველი თვის დასრულების შემდეგ „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი გაწეულ მომსახურებაზე;

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

5.4. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი და ინვოისი;

5.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მომსახურების შესაბამისობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ინტენსიური, რეგულარული ხასიათის და პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

7.1.2. განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, უხარისხო (წუნდებული) ან არასრული მოცულობით გაწეული მომსახურების მიღებაზე;

7.1.3. ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი;

7.1.4. მოითხოვოს მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის გამოწვევა განპირობებულია უშუალოდ მიმწოდებლის ბრალეულობით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.2.2. კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (user name), პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირთათვის მისი გადაცემა;

7.2.3. თავისი შეხედულებისმებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლ(ებ)ი, და უზრუნველყოს მისი დაცვა;

7.2.4. დროულად განიხილოს `მიმწოდებლის~ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2.5. წარუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია დანართი #1-ის შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1. მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.2.6. განახორციელოს მაცნეს ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge.), ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება.

7.2.7. უზრუნველყოს ,მაცნეს ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge.) განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამართული მიწოდება;

7.2.8. უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით;

7.2.9. ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადასცეს შემსყიდველს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის სახელი (user name), პაროლი, ელექტრონული მომსახურების სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურების სისტემაში დაშვება დანართი #1-ის შესაბამისად;

7.2.10. აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა;

7.2.11. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.2.12. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების ჩატარების დროს.

8. ინსპექტირება

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად;

8.2. ინსპექტირებას განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი სამეურნეო ოფიცერი ირაკლი ცქიტიშვილი;

8.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ ხარისხის კონტროლის ჩატარების შემთხვევაში თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს წერილობით ამის შესახებ, ხოლო

მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.6. იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომხმარებელთა რაოდენობა, ხოლო გაზრდის შედეგად საერთო მომხმარებლების რაოდენობა დაექვემდებარება სხვა საფასურის განაკვეთს, ყოველი ახალი მომხმარებლისათვის საფასური განისაზღვრება ახალი განაკვეთის მიხედვით, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლების საფასურის განაკვეთი არ შეიცვლება და გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება;

9.7. მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში არსებული საფასურით დადგენილი საერთო ღირებულების სხვაობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს ოდენობით;

10.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო

კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 1 თებერვლამდე.

14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

14.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

15. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სს „საპარტნიორო ფონდი"	**სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე**
ი/მ ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. #15	**ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №68**
ფ/მ ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #8	**სს "პრივატბანკი"**
ს/კ 404 404 550	**ბანკის კოდი: CAVOGE22**
	ა/ა GE26 TP00 3402 0020 0003 06
	ს/კ 203 862 622
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე	**თავმჯდომარე**
ნათელა თურნავა	**ჯონი კვინიკაძე**

შენიშვნა:
სტანდარტული პაროლი ექვემდებარება
სავალდებულო შეცვლას მომხმარებლის მიერ:
შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ უზუსტობაზე დანართში ასახულ ინფორმაციაზე და მათ საფუძველზე გამოწვეულ შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.
დანართი ივსება ლათინური ასოებით.

N	სახელი, გვარი	მომხმარებლის სახელი (user name)	e-mail	სტანდარტული პაროლი
1	დავით კერესელიძე	David Kereselidze	dkereselidze@fund.ge	
2	გიორგი ხუროძე	Giorgi Khurodze	gkhurodze@fund.ge	

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
ნათელა თურნავა

JSC "PARTNERSHIP FUND" LTD
ს.ა. "პარტნიორობა ფონდი"
204404550

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2013 წლის 30 ოქტომბერი

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ „მაცნეს“ ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მიმწოდებელთან - სსიპ „საქართველოსსაკანონმდებლო მაცნე“ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე _____ **ნათელა თურნავა**

ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი _____ **დავით კერესელიძე**

უფროსი სამეურნეო ოფიცერი _____ **ირაკლი ცქიტიშვილი**

უფროსი შესყიდვების ოფიცერი _____ **ნათია ოდიშარია**